



საქართველოს ხელისა

ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება
№8, 26 აგვისტო, ორშაბათი, 2019 წელი



მხელის პისტი

დამტკრეული სავარძლები

ანუ 90-იან წლებამდე და ეროვნული მოძრაობის წლებში
საქართველოს მნერალთა კავშირის თავკაცების ხსოვნას,
აგრეთვე, XXV ყრილობის მონაწილეებს!

თვალნათლივ მახსოვს თქვენთან დაკავშირებული ყოველი დღე, მსჯელობა, კამათი, უთანხმოება... უბრალოებით სავსე გქონდათ გულები, მაგრამ თქვენი გონება არც ისე უბრალოდ და არც ისე დანდობით ებრძოდა მნერლური ღირსებისთვის მიუღებელ ფაქტებს, ადამიანებს, მიმდინარე პროცესებს...

მე, თქვენზე გაცილებით უმცროსს, გულმხურვალედ მიმიღია მონაწილეობა კამათში და არასოდეს მახსოვს, რომ გეთქვათ, შენ ვინ გეკითხება, ვისი ტიკი-ტომარა ხარო! ძალიანაც კარგად იცოდით, ვინ ვინ და იმიტომ იცოდით, რომ საკუთარი მუცლისგვრემით არ ვყოფილვარ დაავადებული და რომ ჩემი ლამის აღვირახსნილი გულახდილობა, სხვა არაფერი იყო, თუ არა საზოგადოებრივი მნერლური პოზიცია, რომელიც თქვენი პოზიციისგან ოდნავ განსხვავების შემთხვევაშიც, მხოლოდ საერთო საქმეს ემსახურებოდა. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ მთელ საქართველოს ესმოდა, პროფესიონალთა მხრიდან დილეტანტთა და გრაფომანთა მიმართ მნვავე კრიტიკის აუცილებლობა! როგორც ირკვევა, ენის მოჩლექით ნათქვამი სიმართლე არც ისე შორს დგას პირფერობისაგან, ხოლო სიძულვილის ენაზე ნათქვამი – პროვინციალიზმისგან!

დღეს მნერალთა კავშირის არსებობის 100 წლის მანძილზე უკვე XXV ყრილობა ჩატარდა. სწორედ ზემოთ ნახსენები ენის მოჩლექა და სიძულვილის ენაა, ასე რომ ასამარებს ღირსეული ადამიანების მნიშვნელობას და ამ სამარეზე „ნაწვიმარ სილაში ვარდის“ ნაცვლად გამხმარი სიტყვების გროვა ყრია! საქმე ისეა ანენილი, რომ ჯერაც შეუძლებელია – ვაჟა ჩორდელის მიერ ადრეულ წლებში გამოცემული გაზეთის სათაურისა არ იყოს, „ტყუილ-მართლის“ გარჩევა ე. წ. ოპოზიციის ფონზე! როგორც წინა ყრილობაზე, ახლაც რამდენიმე, მაგრამ ერთსახოვანი „ოპოზიცია“ იბრძვის უკვე დამტკრეული, უზურგო სავარძლების შესანარჩუნებლად ან მოსაპოვებლად! და ვეჭვობ, (გამონაკლისზე გამონაკლისის გარდა) მნერლობის ბედი ისე აღელვებდეს ვინმეს, რომ თითქმის შიმშილის ზღვართან მყოფ მართლა მნერალზე (ან, თუნდაც, უთვალავ ე.წ. „კავშირის წევრებზე“) ზრუნავდნენ ისე, როგორც საკუთარ კეთილდღეობაზე. ასეთ ზრუნვას ანუ სამაგალითო ზრუნვას, საბჭოურ წლებშიც და საქართველოს დამოუკიდებლობის პირველ ურთულეს წლებშიც, ახერხებდით ისევ თქვენ! ახერხებდით ავტორიტეტით, გამიზნული დიპლომატითა და თავგანწირული ბრძოლით მართლა მნერალთა შემოქმედებითი სიცოცხლის შესანარჩუნებელ-გასაგრძელებლად!

მოჩერებითობა გაქრა – წინ დაუნდობელი სიმართლეა, როგორც არ უნდა გვიჭირდეს, უსათუოდ უნდა შევძლოთ და შევამჩნიოთ,

რომ ჩვენ უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ძვრების ეპოქაში მოგვიწია ცხოვრება. ჩვენ საპატიო, გამორჩეული, ფსიქოლოგიურად დატვირთულ პერიოდში არსებობისა და მოღვაწეობის ღირსნი გავხდით. დიახ, დიახ, ღირსნი! ჩვენ გვერგო პატივი ამ უსაშველობაში ვუშველოთ და „წარვუძღვეთ ერს“, „მივცეთ მომავალი ხალხს!“ წინამდღოლობა კი კვლავ ჩვენს ღირსებაში მდგომარეობს, უღირსი მდგომარეობის ღირსეულად გაძლებაში, ღირსეულად ამბობში და ღირსეული სიტყვის თქმაში. მე ვლაპარაკობ მნერლებზე და არა გრაფომანებზე.

...წლების წინ ქართულ-ოსური მწვავე კონფლიქტის პერიოდში ვწერდი: „წინ, ჯიგიტებო, წინ!“ ამ მონოდებაში ჩემი გამწარებული სული უკან დახევისკენ მოუწოდებდა თანამემამულეებს, რადგან მაშინდელი მათი „წინსვლა“ ოსური ენისა და ფიზიკური განადგურების ტოლფასი იყო. ახლაც ვიმეორებ, ოღონდ მოწოდების გადაადგილებით მნერლების მიმართ: „უკან, მეგობრებო, უკან, ანუ წინ!“ – ღირსებისა და ერის გასაძლოლ გზაზე!“

სიბრძნითა და სულგრძელობით შევხედოთ გარდაუვალობის სიმკაცრეს ანუ, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“... შევისუნთქოთ ყველა შხამი, სიბინძურე, სიცრუე, წყენა, ტკივილი, სიხარბე, სისუსტე, ძალადობა, უვიცობა, სიძულვილი, სიყვარულის ნაკლებობა... მაგრამ გამოვისუნთქოთ მხოლოდ სულიერი ჟანგბადი – ლიტერატურა!

სიცოცხლე დღესაც გრძელდება, ოღონდ იგი მოკლდება ყველგან და ყველასგან მივიწყებული პატიოსანი სულის მნერლებისთვის.

რაც შეეხება დამტკრეულ სავარძლებს, ახალი შემოქმედი დურგალია საჭირო და არა მჭახე სიძულვილით სავსე ჩაქუჩი და ლურსმნები, რომლითაც ჯვარზე მიაჭედეს ქრისტე! კმარა ქრისტიანობისა და მისიონერთა სახელით ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფი მნერლების გაბრიყვების მცდელობა! კმარა პროვოკაციები, რომელიც პირველ რიგში, საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის მიმტაცებელი რუსეთის იმპერიის წისქვილზე ასხამს წყალს! ჯერჯერობით შენარჩუნებულ იმ 80 პროცენტს მაინც ნუ წავართმევთ ერთმანეთს, ყველამ ვიცით, რომ „სხვის საფლავს ვერავინ ამოავსებს!“ ხოლო დროებითი დიდებით ტკბობა მხოლოდ დროებითი ტკბობაა და ეს მარად ასე იქნება!

ჩემო კოლეგებო! ნებისმიერ თქვენგანს მივმართავ: მინდა მჯერდეს, რომ ამ ჩემ ერთგულებით სავსე ტკივილიან სიტყვას იმ სიყვარულით მიიღებთ, რა სიყვარულითაც მიყვარხართ ყველანი, რადგან მე მიყვარს ლიტერატურა ჩემში და არა ჩემი თავი ლიტერატურაში (კ. სტანისლავსკის შეგონების მიხედვით).

მზია ხეთაგური – მნერალი,
საზოგადო მოღვაწე,
მნერალთა კავშირის გამგეობის წევრი,
საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა გიორგის აქტოს მომართვისანი



ლ ა რ წ ი ნ ა

იმმედროსი

გამარჯობა, ჯარისკაცო!
გამარჯობა, ლამაზო ჯარისკაცო!

ტარზანი, ცხადია, ღონიერი იყო, ყველაზე ღონიერი, უფრო ღონიერი, ვიდრე გერმანელები, მთელი თავისი შეიარაღებით.

მამაჩემიც ღონიერი იყო, მხარზე შესმულს დამატარებდა ყველგან და კუნძულის დანარჩენ ექვს სოფელში ველოსიპედით მასეირნებდა. არასდროს იღლებოდა. ველოსიპედს მიაქროლებდა და, თან უსტვენდა. ვერავინ ეწეოდა. მე წინ დამისვამდა და სტვენით მიუყებოდა ნიუჟ ვეხს.

— ეს ხეები ქარისგან არის მოხრილი, აქ, ტექსელზე, ხომ ქარი უმეტესად დასავლეთიდან უბერავს, — ამბობდა მამა, რამდენიმე სახლში შეივლიდა, მერე კი, პირდაპირ შინ ვპრუნდებოდით, ხოლმე.

ერთ დღეს იმ მოედანზე გავედით, სადაც ბაზრობა იმართებოდა. მამამ ველოსიპედიდან გადმომსვა და თეთრი სასტუმროსკენ გავეშურეთ. დიდ, ლამაზ დარბაზში შევედით. იქ უამრავი პატარა, მრგვალი მაგიდა იდგა. ერთ-ერთთან მივედით და მივუსხედით. მამამ უცნობ ქალს ყავა და ერთი ჭიქა ფორთოხლის წვენი მოატანინა საწრუპით. როცა ყავა დაამთავრა, მამა წამოდგა, ოთახის მეორე ბოლოში ვიღაცასთან მივიდა და გამოელაპარაკა.

გვერდით მაგიდასთან გერმანელი ჯარისკაცი იჯდა, — „ფრიცი“.

„ფრიცის“ თქმა არ შეიძლებოდა. არავითარ შემთხვევაში! ამიტომაც მხოლოდ გავიფიქრე.

სანამ მამა საუბრობდა, ჯარისკაცს მივჩერებოდი. მას ჩემკენ არ გამოუხდავს. შესახედად ლამაზი იყო, თითქმის მამაჩემივით ლამაზი, თანაც, ახალგაზრდა. სხვა ახალგაზრდა ჯარისკაცებიც მოდიოდნენ ჩვენს სოფელში, მაგრამ ლამაზი არც ერთი არ ყოფილა. იყვნენ მოხუცი ჰანსის ასაკისანიც, ზოგი — მელოტი, ზოგიც — ჭალარა. გერმანიაში დარჩენილი ცოლ-შვილის სურათების შეკვრა ჯიბით სულ თან დაჰქონდათ. დედაჩემს ხშირად უჩვენებდნენ ამ სურათებს, სულ ერთსა და იმავეს.

ეს გერმანელი, სუფრასთან რომ იჯდა, ლამაზი იყო. ძალიან მინდოდა, ჭიქა და საწრუპი მისთვის მიმენდებინა, მაგრამ, როცა პირი გავაღე და დაძახება ვცადე, მოულოდნელად შარვლის ჯიბიდან რაღაც ამოიღო... დიდი ჯიბის დანა.

ლამაზმა გერმანელმა წამში გახსნა დანა, თავი ოდნავ გვერდზე გადასწინა და იარაღ შესცინა, დიდსა და ბასრ ლაპლაპა დანას.

მანამდე ჯარისკაცების არასდროს შემშინებია. ომი იყო და ჩვენს სოფელში სულ ჯარისკაცები დადიოდნენ. დედა ხშირად მეუბნებოდა, ომადე ხარ დაბადებული, როცა სავსე გვქონდა ბანანები, ფორთოხალი, გაკრიალებულ ღილებიანი ლაკის ფეხსაცმელებით, მაგრამ იქნებ, ეს ყველაფერი მოგონილი იყო, ზუსტად ისევე, როგორც ჯუნგლების მეფის ტარზანის ამპავი, რომელმაც შიშველი ხელებით კისერი მოუგრიხა ლეოპარდს. ტარზანის ამპებს მამა ძილის წინ გვიყვებოდა, ხოლმე მე და ჩემს პატარა ძამიკის, როცა თვითონ მოესურვებოდა.

მუდამ ადრე გვაწვენდნენ. ტარზანის ამბის მოსმენა გვინდოდა, ჯუნგლების მეფის, და ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც არასდროს ვუძალიანდებოდით უფროსებს.

— აქ ტარზანი მოდის, ხოლმე? — ვკითხე მამას.
— ტარზანი არ არის ნამდვილი, — მიპასუხა მან.
— არ არის ნამდვილი?!

ვიღაც ხომ უნდა ჰეგავდეს ნამდვილ ტარზანს! ვერ დავიჯერებ, რომ ტარზანი გამოგონილია. თუმცა, ბევრი რამ, ისედაც არ მჯეროდა. მაგალითად, ვერ ვიჯერებდი, რომ როცა ჩემის ძამაზე პატარა ვიყავი, ომი არ იყო. მაშინ მოხუცი ჰანსი და სხვა გერმანელები იმ ბავშვებთან ერთად ცხოვრობდნენ, ვისი ფოტოსურათებიც ახლა ჯიბით დაჰქონდათ. დღეს კი, ისინი, ისევე, როგორც სათევზაო ბადეები და ნავები, ჩვენი სოფლის ნაწილად ქცეულიყვნენ და, მეც არასოდეს მეშინოდა, როცა ზღვისპირა ჯებირზე თამაშისას, ჩემკენ მომავალ რომელიმე ჯარისკაცს შევნიშნავდი, ხოლმე...

დაზაფრული ჩამოვსრიალდი სკამიდან, მაგიდების ქვეშ გავცოცდი, მამაჩემამდე მივაღწიე და ფეხებში ჩავეჭიდე, მუხლზე მივეკარი და მოვქაჩე. მამა ჯერ ჩვეულებრივ განაგრძობდა საუბარს, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მაგრამ, როცა არ მოვეშვი, დაიხარა და მითხრა: — ჲო, ახლავე წავალთ. ცოტაც და წავალთ. გეყოფა! იცოდე, მოგხვდება!...

დარწმუნებული ვიყავი, რომ იმ დანიან კაცს მამაჩემის სასიკვდილოდ დაჭრა ჰქონდა განზრაული. ისევ და ისევ ვექაჩებოდი მამას ფეხზე და ვაწვდომელი, თუმცა, კარგად ვიცოდი, რომ სასეირნოდ, მეტაც აღარ წამომიყვანდა.

წამოვედით. სახეზე ვატყობდი, რომ ბრაზობდა.

— რა უცნაურად იცცევი, — მითხრა გზაში მამამ, — გცივა? სულ ერთიანად კანკალებ. ავად ხომ არ ხარ?

ვერ ვუმხელდი თეთრ სასტუმროში მომხდარ ამბავს, სადაც წვენი დაულეველი დამრჩა. მოვსრიალებდით გზაზე, ზურგის ქარი გვცემდა,

ვუსმენდი მელოდიას, მამაჩემი რომ უსტვენდა და, თან, ბორბლების ხმას ვაყურადებდი. ქარი ზურგისა იყო, მაგრამ მკლავებზე კანი მაინც სულ ერთიანად ამბებურძგლა. ნეტავ, სხვა ველოსიპედის ხმა ხომ არ მესმოდა საიდანმე?

ის დანიანი ჯარისკაცი მოგვდევდა.

— დაუჩექარე! — დავიყვირე. — ჩეარა, ჩეარა!

მამას გაცინა, ეგონა, ხუმრობით ვამბობდი ამას.

ამის შემდეგ, როცა მოხუცი ჰანსი მიხმობდა, უკვე აღარ მივდიოდი მასთან. იგი „ფრიცი“ იყო, მათ კი, ყველას დანები ჰქონდათ და თოვები.

მაგრამ ტარზანი „ფრიცზე“ ღონიერი იყო.

ტარზანი, ჯუნგლების მეფე, ერთხელაც ჩამოვიდოდა ტექსელზე და ყველა „ფრიცს“ უიარაღოდ, შიმველი ხელებით მოერეოდა.

დიახ, სწორედ რომ მოერეოდა!

* * *

საბავშვო ბალი დავამთავრე და სკოლაში შევედი. ომი ისევ გრძელდებოდა.

უკვე შევეჩივიე ჰელდერის დაბომბას, ყუმბარებისა და ავტომატების ხმას, ღამით თვითმფრინავების გუგუნსა და ნაღმებს, რომლებსაც ზღვის ჯებირის გრანიტზე ისეთი ძალით აფეთქებდნენ, რომ ფანჯრები სულ ერთიანად იმსხვრეოდა. ეს ყოველივე ჩვეულებრივ ამბად იქცა...

ჩვენს სკოლას ყუმბარა დაეცა. დედაჩემის მეგობარი ტიროდა, რადგან ყუმბარამ მისი შვილის მერხი ნამსხვრევებად აქცია.

— ხომ შეიძლება, ჩემი შვილი, იმ დროს, იქ მჯდარიყო!

— ჲო, მაგრამ ხომ არ მჯდარა! — ჲასუხობდა დედა. მეგობარი არ ცხორებოდა. რაღა მისი შვილის მერხს დაეცა ეს ყუმბარა, მაინც და მაინც მისი შვილის მერხს!

— საწუნურო არა და არ ელევა, — ამბობდა დედა, მაგრამ ერთხელ, როცა თვითმფრინავის ძრავა ჩვენს ქუჩაზე ჩამოვარდა, ზედ ჩვენი სახლის კედელთან, ჩემი ძმისა და ჩემი საწოლიდან სულ რაღაც ერთი მეტრის დაშორებით, დედა თავის მეგობარივით ასლუკუნდა:

— ხომ შეიძლება, ორივე მოეკალით! — გულში ჩაგვიკრა და აქვითინდა:

— ჲო საშინელი ომი, ეს საშინელი ომი!

ქუჩაზე ყუმბარამ დიდი ღრმული დატოვა და კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მას ამოავსებდნენ.

უკვე დაწყებითი სკოლის მოსწავლე ვიყავი, მაგრამ დასაძინებლად, მაინც შვიდ საათზე მანვენდნენ.

— გინდა, უძილოდ სულ გამოიფიტო?

არა, ეს ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ არც ადრე დაწყებით მომწონდა. ათასიარ საბაბს ვიგონებდი, რომ დიდხანს დავრჩენილყვით. მანი სასტუმრო თახაში, ქვევით. მაინც არაფერი გამომდიოდა, ყოველთვის მიმიხვდებოდნენ, ხოლმე. ერთხელაც, ისე, რომ არც გვითხოვია, დაბლა გვიანობამდე დაგვტოვეს.

— ამაღამ გასამლელ საწოლზე დაიძინებთ, — თქვა დედამ.

გასაშლელი საწოლი! შესანიშნავია! „კარუსელს“ და ბზრიალას მაგნებდა, სასრიალო ნაგებს, ტირს და ბლინების ჯიხურს, ნითელ—ყვითლად შელებილს. სინამდვილებში, ეს იყო ძირი გაშლილი ჩვეულებრივი ლეიბი. ბალიშები, საბნები და ზენარი კი ჩვენივე საწოლიდან აელოთ. დედა და მამა იქვე ისხდნენ, ბებიასა და ბაბუა გვერდით. ლაპარაკს და ადგომას, მართალია, გვიმლიდნენ,

ატლასი გადაშალა და მაჩვენა სულ ერთიანად მწვანე მხარე, ჯუნგლებივით მწვანე.

დაიღხანს დავცეროდი ატლასს. როგორ მინდოდა, მამას რაიმე მოეთხრო იმ ქვეყანასა და იქ მცხოვრებ ხალხზე! მამამ არაფერი იცოდა. არსებობდა ერთი თქმულება ვეფხვისტყავიან კაცზე, ქართული ამბავი, ძველი, ძალზე ძველი, ასეულობით წლებს რომ ითვლიდა.

— მომიყევი, რა, მომიყევი! — ვთხოვდი მამას, მაგრამ მამა არ მიყებოდა, ნაკითხული არ ჰქონდა.

— ჩემი აზრით, ნათარგმნიც არ არის, — თქვა მამამ, — არ ვიცი, მხოლოდ ყურმოკვრით მაქვს გაგონილი. თუ ვისგან, არ ახსოვდა.

დაიღხანს დავცეროდი ატლასში იმ მწვანე ქვეყანას. ნეტავ, მთები და ტყები თუ არის იქ, ან მაღალბალხიანი მინდვრები, ანდა — ჯუნგლები? ვეფხვისტყავიანი კაცი, ნეტავ, რანაირია, ანდა, რა ჰქია? რას უხმობდნენ სახელად, როცა ხან ტყე-ტყე დადიოდა, ხან — მთებში და ხანაც — მაღალ ბალახებში, ვეფხიას?

ნეტავ, თბილი და მუქი თვალები ჰქონდა? ან, თუ მლეროდა მაღალი, ხან კი ბოხი ხმით? ნეტავ, შავი ხევული თმა ვეფხვის ტყავზე თუ ეფინებოდა ან ვეფხვის ტყავი სადამდე სწვედებოდა? ან იქნებ, უბრალოდ მოკლე ქვედატანი ემოსა, როგორც ტარზანს? ვეფხვს კისერი შიშველი ხელებით მოუგრიხა?!

იქნებ, თავად იყო ტარზანი, ჯუნგლების მეფე.

— ის ვეფხვისტყავიანი კაცი ტარზანია?

— არა, — მიპასუხა მამამ, — ტარზანს არ აცვია ვეფხვის ტყავი,

ჯუნგლებში არ არიან ვეფხვები.

მამა იმდენ რამეს გვიყვებოდა, ის კი არ იცოდა, როგორია საქართველო!

ჩემს წარმოდგენაში ვეფხიას, ტარზანსა და იმ ჯარისკაცს რაღაც ჰქონდა საერთო. როცა იმ შავთვალა ქართველს აქეთ მომავალს დავინახავდი, გავრბოდი ხოლმე, მაგრამ არ გეგონოთ, რომ მისი თოფის ან ჯიბის დანის მეშინოდა. მერე, როგორც კი საკმაოდ შორს დავიგულებდი თავს, ისევ ჯებირის კიდესთან მივირბენდი, რომ ხელახლა შევხედროდი.

— გამარჯობა, ჯარისკაცო! — ვამბობდი იქ მისული. იგი ვერ იგებდა ჩემს ნათეავამს, არც არაფერი ესმოდა, რადგან მლეროდა.

— გამარჯობა, ჯარისკაცო! გამარჯობა, ლამაზო ჯარისკაცო!

გერმანელის ფორმა ეცვა, ხელში შაშხანა ეჭირა და, ალბათ, დანაც ჰქონდა, მაგრამ „ფრიცი“ არ იყო. ეს, აშეარად იგრძნობოდა. ისმოდა კიდეც, როცა ლაპარაკს იწყებდა თავის იდუმალ, ხავერდოვან ენაზე, რომელიც სრულიად არ ჰგავდა „ფრიცების“ სისინა ენას. უბრალოდ, მათი სამხედრო ფორმა ეცვა (ზოლებისა და ვარსკვლავების გარეშე). მათს ჯარში მსახურობდა და მათივე მხარეზე იბრძოდა ინგლისელების, ფრანგებისა და კანადელების წინააღმდეგ, ტექსელის მცხოვრებთა წინააღმდეგაც. რა უნდა ექნა?

შემდეგ კი, რუსებმა თავიანთი ომი წამოიწყეს გერმანელების წინააღმდეგ.

ომი დაიწყო ალიონზე, 6 აპრილს, ჩემი ბიძაშვილის დაბადების დღეს.

დაბადების დღეზე არ გამიშვეს, ვერც საჩუქარი წავილე და ვერც ფორთოხლის წვენი დავლიე, რადგან ქუჩაში გასვლა საშიში იყო. ისროდნენ.

მე და ჩემი ძმი შინ დავრჩით. ვისხედით ფანჯარასთან და სურათებს ვხატავდით. დროდადრო, ვხედავდით, რომ ბალში კაცები მიდი-მოდიოდნენ და შემართულ შაშხანებს ვიდაც უჩინდა მტერს უმიზნებდნენ.

დედაჩემი წერვიულობისგან ცუდად გახდა, როცა მეზობელმა სახლის ბრტყელი სახურავის მიღმა ფანჯრიდან გადმოგვდახა, ნორდების ერთი ფერმერი მოუკლავთო. სახლის წინ, ზღვის ჯებირთან, თურმე მინას ბარავდა და, ამ დროს, ტყვიით ჩაუცხრილავთ.

— ნიუე ვეხიდან გასროლილი ტყვია მოხვედრია! ყოველ წუთში შეიძლება, გამოგასაღმონ სიცოცხლეს!

მიუხედავად გაუთავებელი სროლისა, ბებიამ, როგორღაც შეძლო და მოაღნია ჩევნამდე უესტიდან. თან ოქროულობა და ფულის ყულაბაც წამოედო, პალტოს ქვეშ ჰქონდა დამალული. თუ რაიმე შეგვემთხვა, ერთად მაინც ვიქებითო. შეშინებული ჩანდა, მაგრამ მაინც იცინოდა. დირექტორის ცოლი შეხვედრია გზაში.

— ტყვიისგან თავის დასაცავად ზურგზე ლეიბი ჰქონდა წამოკიდებული! აი, მესმის თავშესაფარი!

* * *

ჩემს ძმას, თითქმის, იმ წამსვე ჩაეძინა. მე კი მეღვიძა, ვიწექი იმ ადამიანების ფერხთით, ვინც მიყვარდა და არავითარ საფრთხეს არ ვერძნობდი, ოღონდ, იმ ქართველზე ვდარღობდი, ასე ტკბილად რომ მღეროდა.

იქნებ, ის ახლა შაშხანაშემართებული მიიპარებოდა ჩევნი ბაღის გავლით? მან ხომ არ ჩაცხრილა ფერმერი ნორდებაში იმ სიშორიდან? ან, იქნებ, ტყვია მოხვდა, ან — ყუმბარის წამსხვევევი? იქნებ, ცოცხალი აღარც არის?

სიკვდილზე გავიფიქრე და ჰოხე ბერგის სასაფლაო გამახსენდა, თეთრი ჭიშკარი და მის მიღმა რაღაცნაირი ბაღი, სადაც უამრავი ქვა აღმართულიყო, სკამის ზურგისმაგვარი, ოღონდ დასაჯდომის და ფეხების გარეშე. ჭიშკარზე ასეთი წარწერა იყო: „შენც გელოდები!... ამიტომაც არ მინდოდა, ხოლმე სასაფლაოზე წასვლა! ის ჭიშკარი მეც მელოდებოდა, მე კი მისი გახსენებაც არ მსურდა. ის ბორტი ჭიშკარი იყო.

არაფრით არ დავწვები ისეთი ქვის სკამის ქვეშ! არავითარ შემთხვევაში, არ მოვკვდები! არა და არა!

ნეტავ, ის ფეხვისტყავიანი კაცი ცოცხალია? ალბათ, არა.

და ის ჯარისკაცი, ლამაზად რომ მღერის, იქნებ ის ჯარისკაცი ვეფხიას შვილიშვილის — შვილის შვილის — შვილის — შვილის — შვილის — შვილია?

სავსებით შესაძლებელია, რადგან ერთი ქვეყნიდან არიან. ეს კი ნიშნავს, რომ ვეფხისტყავიანი კაცი ამ ჯარისკაცის პაპის — პაპა.

ამდენჯერ „შვილის — შვილისა“ და „პაპის — პაპის“ თქმამ შემაშინა, როგორც იმ მინდვრის გახსენებამ, სადაც გერმანელებმა და რუსებმა ერთარი გერმანული შაშხანებიდან ცეცხლი გაუხსნეს ერთმანეთს, და ახლა, ინვენ იქ, ტყვიით განგმირულები.

იქნებ ის ტკბილხმიანი ჯარისკაციც უსულოდ ეგდო ახტერვეხის მიღმა, მინდორზე. კარგად გავიგონე, მამა და ბაბუა ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ეკლესიის უკან ჯარისკაცის გვამებიაო, დედა და ბებია კი ჩურჩულებდნენ, ახტერვეხის მიდამოებში ქარინერილებსა და ფოტოსურათებსდააფრიალებსო.

წერილებით ადვილად გაარჩევდით, რომელი იყო გერმანელისა და რომელი — რუსის, მაგრამ ფოტოსურათებით — ვერა. ყველა ერთმანეთს ჰგავდა.

— რა დაგემართა? — მეკითხა ბებიამ. — რამე დაგესიზმრა?

— ბებო, შენ არ მოკვდები, — ვთქვი მე. — არ მინდა, რომ მოკვდე!

— ყველანაირად ვეცდები, — მიპასუხა ბებიამ.

იგი იატაკზე იჯდა და ელოდა, თუ რას ვიტყოდი ამის შემდეგ.

— მეც ხომ არ მოვკვდები, არა?

— კარგი ერთი, ნუ მაცინებ! — თქვა ბებიამ. — შენ? შენ რა მოგკლავს?

ბებო მართალს ამბობდა, მე ვერაფერი მომკლავდა! მაშინ ხომ ქვეყანაც აღარ იარსებებდა! ჰო, მართლა, ის ჯარისკაცი? როგორ ვკითხო ბებოს იმ ჯარისკაცზე? მე აღარაფერი მითქვამს და ბებო ადგა.

არა, ის ჯარისკაცი არ დაიღუპებოდა!

იქნებ სწორედ ჩემი ჯარისკაცი იყო ის რუსი, რომელიც დიდ წყლიან კარის ჩაძვრა, როცა გერმანელები ძალებით დაექცებდნენ მას. კისრამდე წყალში იდგა და, ამიტომაც, ძალებმა გეში ვერ აიღეს.

ერთ-ერთი მისი მეგობარი კი საცხობის უკან დაიმალა, იპოვეს და უმალ დახვრიტეს ნავსადგურის უკან, პატარა მინდორში. იქნებ, ყველაფერი პირიქით იყო. იქნებ, იმ ჯარისკაცის ადგილას მეგობარი იყო, მეგობრის ადგილას კი — ის ჯარისკაცი?

კაცი რომ მოკლეს, იმ კაცს, ნეტავ, შავი თმა ხომ არ ჰქონდა? — ვიკითხე მე, — ხევული თმა.

— ჯერაც არ გძინავს, არა? იცოდე, გაგიბრაზდები! — თქვა მამამ. არ მინდოდა მისი გაბრაზება და მაგრად დაგხუჭე თვალები.

გარეთ არც მეორე დღეს გაგიმდება. მე და ჩემი ძმა ვჩხ

ნამალი დამინიშნეს, პიტნის გემო ჰქონდა. „თითო დესერტის კოვზით ჭამის ნინ“, – ენერა ბოთლზე, როცა დაიცლებოდა, ბოთლში ძირტკბილას წყალს დავაყენებდი. რაღაცაში ხომ გამომადგებოდა!

* * *

მამაჩემის დაბადების დღეს ომი დამთავრდა.

ზედ „ფრიცების“ თავზე გამოფინეს დროშები, ზედა სართულების ყოველი ფანჯრიდან თითო დროშა იყო გადმოკიდებული. დედაჩემის მეგობარმა თქვა: – რა კარგია, რომ ამას მოვესნარით! ჩვენი დროშები მაღლა ფრიალებენ, ისინი კი კუდამოძუებული გარბიან ლანძღვა-გინებით.

„ფრიცები“ ილანძღებოდნენ, შაშხანებს არ იცილებდნენ და რუსებზე ნადირობას განაგრძობდნენ. 5 მაისის შემდეგ კიდევ ორასი კაცი დახვრიტეს.

რაღა აზრი ჰქონდა, ომის დამთავრება რომ გამოაცხადეს!

იყო უამრავი ინგლისური თვითმფრინავი, ფრენდნენ დაბლა, მაგრამ კუნძულზე არ ეშვებოდნენ. იქ ისევ გერმანელები ბატონობდნენ. სად იყვნენ ჩვენი განმათავისუფლებლები, რატომ არ მოდიოდნენ?!

დღეში ერთხელ, მაინც მივირბენდით ხოლმე ნავსადგურში.

– კანადელები მოდიან! კანადელები მოდიან!

შემდეგ გემი ნავსადგურში შემოვიდა, მაგრამ კანადელები არ მოუყვანია.

ერთი კვირა გავიდა. იმედი სულ გადამეწურა და როცა, ბოლოს და ბოლოს, კანადელები ჩამოვიდნენ, მე, იმ დროს, ნავსადგურში არ ვიყავი.

რუსები გამოვიდნენ სამალავებიდან, სარდაფებიდან, კარადებიდან, თივის ზვინებიდან, ხაროებიდან, ბეღლებიდან. მოდიოდნენ ქუჩაში, ცეკვავდნენ, ეძებდნენ მეგობრებს, ერთმანეთს ეხვეოდნენ. ის ჯარისკაცი, რომელსაც სულ დავეძებდი, ვერსად ვიპოვვე.

რვაასი ქართველიდან ოთხას სამოცდაშვიდი მოკლეა!

ისინი აქ დარჩნენ, კუნძულზე, ცალკე საფლავში, ჩვენი სასაფლაოს გვერდით, დანარჩენები კი, ივნისის ერთ კვირა დილას სამშობლოში გაემგზავრნენ.

გავიღვიძე და მეგონა, რომ ომი ისევ განახლდა.

ქართველები საბარგო მანქანებზე ისხდნენ და ნიუე ვეხის გავლით, ნავსადგურისკენ მიემართებოდნენ, თან ჰერში ისროდნენ და სიხარულს ვერ მალავდნენ, რადგან სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

ნავსადგურში არ გამიშვეს, რომ ჩემი თვალით მენახა ყველაფერი.

– გაგიუდი? დილის 6 საათია!

– ვნახავ, რა!

– ისედაც, მშვენივრად გაიგებ ყველაფერს.

მაგრამ იმას, რისი გაგებაც მინდოდა, ხომ ვერავინ მეტყოდა?!?

დედაჩემს საშინლად ვეჩხუპე, ხელი ვკარი, დავკანრე და ვუკბინე კიდეც. გავკიოდი, სახლიდან გავიქცევი და მერე დაგწყდებათ გული-მეთქი. ამგვარი რამ ადრე არასდროს ჩამიდენია. მამაჩემი საშინლად გამიბრაზდა და დასაწილად გამიშვა:

– მაღლა ახვალ და მთელი დღე იქ იქნები!

ჩემს ოთახში ღია ფანჯარასთან დავვეკე და ტირილი მოვრთე.

მზე ამოცურდა ზღვიდან, მთელი სამყარო წითლად და ყვითლად შეიღება და ლამაზ ჩარდახს დაემსგავსა. გემი ჯერ არ მოსულიყო. ჯარისკაცები ისევ ნავსადგურში იდგნენ და, ვინ იცის, ვეფხიაც იქ იყო, მე კი ვეღარასოდეს ვნახავდი მას.

დაახლოებით ცხრის ნახევარზე მეგობარმა გოგონამ გამომიარა, ნავსადგურში წავიდეთო. არ გამიშვეს. მეგობარმა ზღვის ჯებირიდან ხელი დამიქნია და სირბილით განაგრძო გზა. დედა და მამა, რა თქმა უნდა, ნავიდნენ. ჩემი ძმაც თან წაიყვანეს. მე შინ დამტოვეს, მარტოდმარტო.

ცხა საათზე გემი ნავსადგურიდან წყნარ ზღვაში გავიდა და ნელა გაუდგა გზას. სიოც არ იძვროდა. გარშემო ისეთი სიჩუმე იდგა, რომ ხმები წყალ გალმიდანაც კარგად მესმოდა.

ხალხი არ იშლებოდა. ნავსადგურის პირას, ჯებირიდან გემზე მდგომთ ხმამაღლა გასძახოდნენ და, თან, მთელი ძალით უქნევდნენ ხელს.

რამდენადაც შემეძლო, ფანჯრიდან გადავეყუდე, ცალი ხელით წვიმის სადინარს ჩავეჭიდე, მეორეთი კი გამალებით ვიქნევდი ჩემი თოჯინის აკვნიდან აღებულ ჰატარა ზენარს.

– გზა მშვიდობისა! – გავდახე, – ნახვამდის!

შემდეგ გემზე იმ იდუმალ, ხავერდოვან ენაზე სიმღერა წამოიწყეს, სიმღერა განშორებისა, თუ კვლავ შეხვედრისა, და იმ უჩვეულო, ნაღვლიან და გულიან სიმღერებში გამოიკვეთა ერთი ხმა, მამაკაცის ერთადერთი ხმა, წკრიალა და ჰაეროვანი, ყველა დანარჩენისგან გამორჩეული, ხმა – მაღალი, ხანაც – დაბალი, თბილიც და მჭექარეც, ნაზი, და თანაც, ომახიანი.

– ჯარისკაც! – გავდახე მე, – ჯარისკაც! ტარზან! ვეფხია!

წვიმის სადინარით ზევით ავცოდდი, რაც სასტიკად გვეკრძალებოდა, და გამალებით ვიქნევდი ზენარს.

– დაბრუნდი! დაბრუნდი, რა! დაბრუნდი!

მაგრამ დასავლეთის ჩვეულმა ქარმა ამჯერად მიმტყუნა, ჩემი ხმა ზღვის ჯებირამდეც კი ვერ აღწევდა.

გემი თვალს მიეფარა და ზღვა დაცარიელდა...



აქციურული ფერ

ქართული ტრადიციები და პროსტიტუციის ლეგალიზაცია
საქართველოში

21-ე საუკუნის დასაწყისი საქართველოში, ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ფასულობების ცვლილებებით გამოირჩევა. ამასთან დაკავშირებით, მედიის საშუალებებით, ფართო საზოგადოებაში, მძაფირი კამათი მიმდინარეობს. ერთ-ერთი საკითხი არის – უნდა იყოს თუ არა ლეგალიზებული სქესობრივი მომსახურება საქართველოში, უნდა შეიქმნას თუ არა ასეთი მომსახურებისათვის სპეციალური სახლები, სხეულით ვაჭრობის პროფესიალისათვის კურსი ემსახურება? ამ საკითხს, ჩემი, და უფრო ახალგაზრდა, თაობა დადებითად წყვეტის და არგუმენტად იყენებს იმას, რომ ფარული სესობრივი მომსახურება ხშირად გვევლინება მძიმე ვერერიული სენის წყაროდ. ასევე, არგუმენტად მოჰყვათ უცხო ქვეყნის მაგალითები, სადაც ეს თემა ლეგალიზებულია.

ზოგადად, რაიმე ქმედების აკრძალვა შეიძლება იყოს კლასიკური ან ნორმატიული ხასიათის. კლასიკური აკრძალვა ისტორიულად მომდინარეობს და ადამიანის ცნობიერებაში საუკუნეების მანძილზე არსებობს. კლასიკური აკრძალვის მაგალითს წარმოადგენს ათი მცნება, რომელიც კაცობრიობამ გონების თვალით აღიქვა და ყოველდღიური ცხოვრების წესად აქცია. მისი შესრულება ნებელობითი ხასიათისაა. ათ მცნებას ხშირად საღმრთო სამართალსაც უწოდებენ და მისი დარღვევა საზოგადოებრივ გაყიცხას იმსახურებს, ხოლო სასულიერო პირების მხრიდან მეტად დასაგმიობის ხდება ხოლმე.

ცოლ-ქმრიობა ქრისტიანულმა აღამიანთა სავალდებულო, ზენებრივ და საღმრთო კანონად აღარა. ისტორიულად, ქართველი ერი ქალვაჟის ქორწინებამდე სქესობრივ კავშირს დანაშაულად მიჩნევდა, ასეთი სესობრივი კავშირი „სიძვად“ მოხისენიებიდა. სულხან-საბას განმარტებით „სიძვა უმეულოსაგან ბოზობა არს“. სულხან-საბა ქალის ან მამაკაცის არა ცოლ-ქმრულ სესობრივი კავშირის „მრუშობას“ უწოდებს, მრუშობის ჩამდენის კურსი კი, მრუშს. მამაკაცის ქორწინების გარეშე ურთიერთობა ისეთ დიდ დანაშაულად არ ითვლებოდა, როგორც ქალის აღვირასნილი ცხოვრება.

ყველ ერს თავისი ტრადიციები, წეს-ჩვეულებები და კულტურა გააჩნია. ის, რასაც ჩვენი ტრადიციები გმობს, შეიძლება მისაღები იყოს სხვა ერისათვის და, პირიქით. მაგალითად, უკრაინაში არსებობს ტამაშები – „რომაშეა“ და „მატრიოშკა“, რომლებიც თავისი არსებობის საუკუნეების ითვლიან. ეს თამაშები მამაკაცებში აღძრავენ სესობრივ მოთხოვნილებასა და დაკამაყოფილების სურვილს. მსგავსი რამ ჩვენი მეტაბლიტეტისთვის მიუღებელია. ასე, რომ თუ უცხო ქაეყანაში დასაშვები იყო პროსტიტუციის ლეგალიზაცია, საქართველოში, ქართული ტრადიციების მიხედვით, ყველობის იკვალებოდა, ყოველობის დასაგმობი და გასაკიცხი იყო, ხშირ შემთვევაში, დაპირისპირებაში გადაიზრდებოდა და სისხლისძვრაც მოსდევდა. ამაზე მეტყველებს სასამართლო პრაქტიკის ანალიზი. მკვლელობის გამომწვევი მიზეზი ხშირად სდებოდა ლალატი, რადგან ადამიანი მგრძნობიარე არსებაა, ასეთი შემთხვევები მასში ინვეს აფექტის მდგომარეობას, უარყ